საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო

ქ. თბილისი № 1/180 " 18 " ნოემბერი 2020 წ.

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

ს. გიორგაშვილის სააპელაციო და რაიონული (საქალაქო) სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე გამწესებაზე უარის თქმის შესახებ

„საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 35^4 მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების, 36-ე მუხლის მე-4 და 4^1 პუნქტებისა და 50-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ 2020 წლის 26 ივნისს გამოცხადებული მოსამართლეობის კანდიდატების შესარჩევი კონკურსის შედეგების საფუძველზე:

1. სანდრო გიორგაშვილი არ იქნეს გამწესებული თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის მოსამართლის, თბილისის სააპელაციო სასამართლოს საგამოძიებო კოლეგიის მოსამართლის, თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა საგამოძიებო, წინასასამართლო სხდომისა და არსებითი განხილვის კოლეგიის მოსამართლის, გალი-გულრიფშისა და ოჩამჩირე-ტყვარჩელის რაიონული სასამართლოს მოსამართლის, გურჯაანის რაიონული სასამართლოს მოსამართლის, თელავის რაიონული სასამართლოს მოსამართლის, ახმეტის მუნიციპალიტეტში თელავის რაიონული სასამართლოს მაგისტრატი მოსამართლის, მცხეთის რაიონული სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის მოსამართლის, ახალგორის მუნიციპალიტეტში მცხეთის რაიონული სასამართლოს მაგისტრატი მოსამართლის, დუშეთის მუნიციპალიტეტში მცხეთის რაიონული სასამართლოს მაგისტრატი მოსამართლის, თიანეთის მუნიციპალიტეტში მცხეთის რაიონული სასამართლოს მაგისტრატი მოსამართლის, რუსთავის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის მოსამართლის, გარდაბნის მუნიციპალიტეტში რუსთავის საქალაქო სასამართლოს მაგისტრატი მოსამართლის, სიღნაღის რაიონული სასამართლოს მოსამართლისა და დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში სიღნაღის რაიონული სასამართლოს მაგისტრატი მოსამართლის თანამდებობებზე უვადოდ.

2. ეს გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს საჩივრით საქართველოს უზენაესი სასამართლოს საკვალიფიკაციო პალატაში (მდებარე: ქ. თბილისი, ძმები ზუბალაშვილების ქუჩა №32) საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მეშვეობით (მდებარე: ქ. თბილისი, ბოჭორმის ქუჩა №12) გადაწყვეტილების მოსამართლეობის კანდიდატისათვის გადაცემიდან 2 კვირის ვადაში.

ნინო ქადაგიძე

საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე
საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე